შპს „საფეხბურთო კლუბი ტყიბულის მეშახტე“-ს (ს/კ 219630228) 70%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულება

N1

? ????? 2024 წ. ქალაქი ტყიბული

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტი, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის დავით ჩერქეზიშვილის სახით (ტექსტში - „მესაკუთრედ“ წოდებული) და მეორეს მხრივ, **შპს „ ???“ (ს.ნ. ?????), წარმოდგენილი დირექტორის, ?????? სახით** (შემდგომში „ქონების მყიდველად“ წოდებული), თითოეული წოდებული მხარედ, ხოლო ერთობლივად – მხარეები, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.eauction.ge ---------- წლის :00სთ. – -------- წლის 12:00სთ. ლოტის N ჩატარებული ელექტრონული აუქციონის შედეგები და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №1-ის (----2024 წელი) საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

მუხლი 2 . ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულების საგანია ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შპს ,,საფეხბურთო კლუბი ტყიბულის მეშახტე“-ს (ს/კ 219630228) 70%-იან წილის მყიდველისათვის საკუთრებაში გადაცემა წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებისა და სააუქციონო პირობების შესაბამისად.

მუხლი 3. ნასყიდობის ფასი და გადახდის პირობები

1. შპს ,,საფეხბურთო კლუბი ტყიბულის მეშახტე“-ს (ს/კ 219630228) 70%-იან წილის ნასყიდობის საფასური შეადგენს ------() ლარს.
2. მყიდველმა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ნასყიდობის საფასური უნდა გადაიხადოს უნაღდო ანგარისწორების ფორმით, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

1. მყიდველი ვალდებულია:

ა) მყიდველი ვალდებულია ხელი შეწყოს ფეხბურთის განვითარებასა და პოპულარიზაციას, რაც უნდა გამოიხატოს დამტკიცებული ახალგაზრდული ჯგუფების, გუნდების, /კლუბების მწვრთნელებისა და მომსახურე პერსონალის განვითარებასა და დაფინანდებაში, ასევე ქვეყანაში დამტკიცებული პროგრამებისა და სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად გუნდების განახლებასა და შესაბამისი ჩემპიონატისთვის მომზადებაში.

ბ) არ შეცვალოს შპს ,,საფეხბურთო კლუბი ტყიბულის მეშახტე“-ს საფირმო სახელწოდება და სპორტული პროფილი ,,ფეხბურთი’’.

გ) ყოველწლიურად უზრუნველყოს შპს ,,საფეხბურთო კლუბი ტყიბულის მეშახტე“-ს საქართველოს ეროვნული ლიგის ჩემპიონატში მონაწილეობისათვის პირობების დაკმაყოფილება და შესაბამისი ლიცენზიის მოპოვება, როგორც ეროვნულ, ასევე,საერთაშორისო ასპარეზზე მონაწილეობის საჭიროების შემთხვევაში.

დ) უზრუნველყოს ოფიციალური მატჩები, ასევე სასწავლო-საწვრთნელი პროცესი, ფიფას, უეფას და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დებულებებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

ე) უზრუნველყოს, საფეხბურთო კლუბის
მიერ უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დადგენილი საკლუბო ლიცენზირების სავალდებულო მოთხოვნები და სხვა სტანდარტების შესრულება.

2. საინვესტიციო ვალდებულებები:

ა) მყიდველი ვალდებულია შპს ,,საფეხბურთო კლუბი ტყიბულის მეშახტე“-ს (ს/კ 419630228) განვითარების მიზნით 3 (სამი) წლის მანძილზე, ყოველწლიურად განახორციელოს არანაკლებ 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით ინვესტირება ან უზრუნველყოს თანხის მოზიდვა. ამასთან, წლის მანძილზე განხორციელებული ინვესტიცია უნდა დაიხარჯოს ამავე კალენდარული წლის 31 დეკემბრამდე.

შენიშვნა: ამ პუნქტის მიზნებისათვის არ იგულისხმება ა(ა)იპ „ფეხბურთის განვითარების ფონდი“-დან სახელმწიფო პროგრამით გამოყოფილი თანხები.

ბ) საქართველოს ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დასრულების შემთხვევაში შპს ,,საფეხბურთო კლუბი ტყიბულის მეშახტე“-ს განვითარებისათვის მყიდველმა წინამდებრე ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის ინვესტირებასთან ერთად, ფედერაციიდან დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს ერთი წლის განმავლობაში დამატებით არანაკლებ 150,000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით კლუბის ინვესტირება.

გ) ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგინოს ამ პირობაში განსაზღვრული ,,საფეხბურთო კლუბი ტყიბულის მეშახტე“-სთვის ჩარიცხული თანხების დამადასტურებელი დოკუმენტები (საგადახდო დავალება) ვალდებულების დადგომის ბოლო დღიდან 3 დღეში.

დ)ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგინოს საქართველოში ლიცენზირებული აუდიტის დასკვნა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის/ების მიზნობრივად ხარჯვის შესახებ, ვალდებულების დადგომის ბოლო დღიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ:

ა) საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0,1% ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

გ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ყოველ დარღვევაზე ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%-ს.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა მუნიციპალიტეტის მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად. ასეთ შემთხვევაში პრივატიზებული ქონება უბრუნდება პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოს. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს არ უნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები.

5.3. დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
5.4. 5.2. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამყიდველის წერილობითი მიმართვის საფუძველზე საჯარო რეესტრში უქმდება წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მყიდველის საკუთრების უფლება და ქონება რეგისტრირდება მუნიციპალიტეტის საკუთრებად.
5.5. მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად გამყიდველის მხრიდან ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა სრულად ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში.
5.6. მყიდველზე საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გაიცემა ელექტრონული აუქციონის პირობების შესრულების შემდეგ.

მუხლი 6. ფორსმაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორსმაჟორული გარემოებით. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის ფორსმაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება გამყიდველის ან მყიდველის კონტროლის ფარგლებს და რომლის დადგომაც წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის, და რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზვავებით ან სხვა მსგავსი მოვლენით, რომელიც არ ექვემდებარება იმ მხარის კონტროლს, რომელზეც ასეთი ფორსმაჟორული მოვლენა ახდენს გავლენას და რომლის თავიდან აცილება ასეთ მხარეს არ შეეძლო.
6.2. მხარე, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორსმაჟორული გარემოების გამო, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ხსენებული გარემოების როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არა უგვიანეს 10 დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარე კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.
6.3. ფორსმაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში მხარეების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადავადდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.
6.4. ვადის ათვლა განახლდება იმ ფორსმაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.
6.5. გამყიდველს უფლება აქვს 30 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს ფორსმაჟორის გაგრძელების შემთხვევაში განიხილოს წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის ან შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების საკითხი.

მუხლი 7. შეტყობინებები და ენა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად.
7.2. ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა მხარეებს შორის უნდა განხორციელდეს წერილობით ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნეს პირადად, ფაქსის, შეკვეთილი წერილის ან კურიერის მეშვეობით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე.
7.3. თითოეული მხარე მისამართის შეცვლის შემთხვევაში ვალდებულია აცნობოს აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძველ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება.

7.4. შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება ადრესატისთვის მისი გადაცემის ან გაცნობის მომენტიდან.

მუხლი 8. დავების გადაწყვეტა

8.1. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში საკითხი წყდება მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს საქართველოს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. სხვა დებულებები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებისა ან დამატების განხორციელება დასაშვებია მხარეთა წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

9.2. ხელშეკრულების ყველა ცვლილება/დამატება ან/და დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.3. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.4. ამ ხელშეკრულების ცალკეული პუნქტების გაუქმება ან/და ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების სხვა პუნქტების გაუქმებას ან/და ბათილობას.

9.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.

9.6. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა მხარეებს და საჯარო რეესტრს.

9.7. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები

გამყიდველი	მყიდველი